გურჯაანი

რეგისტრაციის № 5

რეგისტრაციის თარიღი: 30/08/2005

ადგილწარმოშობის დასახელება: გურჯაანი

საქონლის დასახელება, რომლისთვისაც მოითხოვება ადგილწარმოშობის დასახელებ ის რეგისტრაცია: ღვინო

განმცხადებლის სახელი და მისამართი: სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტო; მარშალ გელოვანის გამზ. N32, 0159, თბილისი, საქართველო

1. დასახელება: „გურჯაანი“

2. დამატებითი აღნიშვნები

3. ტიპი, ფერი და ძირითადი მოთხოვნები

„გურჯაანი“ თეთრი მშრალი ღვინოა, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხ ოვნებს:

§ ფერი – ღია ჩალისფერი;

§ არომატი და გემო - უზადო, გემოზე ნაზი, რბილი, ჰარმონიული, ხალისიანი, დახვე წილი, ამ გეოგრაფიული ადგილისთვის დამახასიათებელი ჯიშური არომატით, მინდ ვრის ყვავილების ტონებით, დავარგებისას ღვინოს უვითარდება მკვეთრად გამოხატ ული ბუკეტი ხილის ტონებით;

§ ფაქტობრივი მოცულობითი სპირტშემცველობა არ უნდა იყოს 11%-ზე ნაკლები;

§ დაყვანილი ექსტრაქტის მასის კონცენტრაცია არ უნდა იყოს 16 გ/ლ-ზე ნაკლები;

§ შაქრიანობა არ უნდა აღემატებოდეს 4 გ/ლ-ს;

§ **ტიტრული მჟავიანობა ღვინომჟავაზე გადაანგარიშებით უნდა იყოს: - ახალგაზრდა ღვინოში,**

არანაკლებ 5,0 გ/ლ, ხოლო დავარგებულში - არანაკლებ 4,3 გ/ლ;

§ სხვა მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობ ით დადგენილ მოთხოვნებს.

4. წარმოების გეოგრაფიული არეალი და ზონები

გურჯაანის მიკროზონა მდებარეობს მდინარე ალაზნის შუა წელში, მარჯვენა სანაპირ ოზე, ჩრდილო განედის 41°45’ და აღმოსავლეთ გრძედის 45°48' კოორდინატებზე.

გურჯაანის მიკროზონის ტერიტორია მოიცავს ცივ-
გომბორის ქედის ჩრდილოაღმოსავლეთი დაქანების ტყიან კალთებზე მიბჯენილ მთი სწინებს და ალაზნის დაბლობს ალაზნის არხამდე. ჩრდილო-
დასავლეთით მიკროზონა გრძელდება აკურისხევამდე, ხოლო სამხრეთ- აღმოსავლე თით სიღნაღის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრამდე.

გურჯაანის მიკროზონა მოიცავს სოფლებს: კარდენახს, ბაკურციხეს, კოლაგს, ვეჯინს, ძირკოკს, ჭანდარს, ს. გურჯაანს, ქ. გურჯაანის საგარეუბნო ზონას, კოტეხს, ჩუმლაყს, ახაშენს, ზეგაანს, ველისციხეს, მუკუზანს, ვაზისუბანს, შაშიანს, კალაურს, ვაჩნაძიანს და კახიფარს.

5. ვაზის ჯიშები

„გურჯაანი“ შეიძლება დამზადდეს მხოლოდ გურჯაანის მიკროზონაში მოწეული რქა წითელის ჯიშის ყურძნიდან. „გურჯაანის“ დასამზადებლად დასაშვებია 15%-
მდე იმავე მიკროზონაში მოყვანილი კახური მწვანის ჯიშის ყურძნის გამოყენებაც.

6. ვენახის გაშენება, სხვლა-ფორმირება და მოვლა

§ გურჯაანის მიკროზონაში, ღვინო „გურჯაანისთვის“ განკუთვნილი სამეწარ მეო ვენახები გაშენებული უნდა იყოს 350–700 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან.

§ ვენახის რიგთაშორის მანძილი შეიძლება იყოს 1-დან 3 მეტრამდე;

§ ვაზთა შორის მანძილი რიგში უნდა იყოს 0,8 –1,5 მეტრი;

§ შტამბის სიმაღლე – 60–90 სმ;

§ სხვლის ფორმა – ცალმხრივი ან ორმხრივი ქართული, ან თავისუფალი.

ვაზის გაშენება, მისი გასხვლა-ფორმირება და დაცვა მავნებლებისა და დაავა-

დებებისაგან, აგრეთვე, ნიადაგის დამუშავება, მისი განაყოფიერება და სხვა ოპერა- ცი ები ხორციელდება ყურძნის მწარმოებლის მიერ შერჩეული აგროტექნიკური ღონისძი ებების შესაბამისად.

7. ყურძნის სიმწიფე, რთველი, ტრანსპორტირება

§ „გურჯაანი“ მზადდება მხოლოდ მწიფე ყურძნისაგან, რომლის შაქრიანობა კრეფ ის დროს უნდა იყოს არანაკლებ 19%;

§ ყურძნის ტრანსპორტირება დასაშვებია მხოლოდ ხის ან პლასტმასის ყუთებით, უჟა ნგი ფოლადისაგან დამზადებული ან სპეციალური საღებავით შეღებილი ძარებით;

§ დაუშვებელია ყურძნის ტრანსპორტირებისას პოლიეთილენის პარკების და/ან ტ ომ- რების გამოყენება;

§ ტრანსპორტირებისას ყურძენი მაქსიმალურად უნდა იყოს დაცული შესაძ ლო დაბინძურებისაგან.

8. ყურძნის მოსავალი და ღვინის გამოსავალი

ყურძნის მოსავალი 1 ჰექტარ ვენახზე არ უნდა აღემატებოდეს:

§ რქაწითელისთვის – 10 ტონას;

§ კახური მწვანისთვის – 8 ტონას.

ვინის გამოსავალი არ უნდა აღემატებოდეს:

§ 650 ლიტრს – ერთ ტონა ყურძნიდან;

§ 6500 ლიტრს – ერთი ჰა ვენახიდან რქაწითელისთვის;

§ 5200 ლიტრს – ერთი ჰა ვენახიდან კახური მწვანისთვის.

9. ყურძნის გადამუშავება, ღვინის დამზადება და ჩამოსხმა

„გურჯაანის“ წარმოებისათვის განკუთვნილი ყურძენი – რქაწითელი და კახური მწვა ნე მოწეული უნდა იყოს მხოლოდ გურჯაანის მიკროზონაში გაშენებული ვენახებიდან.

ყურძნის გადამუშავება და ღვინის დამზადება დასაშვებია მხოლოდ კახეთის ზონის ფარგლებში, ხოლო ბოთლებში ჩამოსხმა - კახეთის ზონის ფარგლებს გარეთაც, მხოლ ოდ საქართველოს ტერიტორიაზე.

ამასთან, ყურძნის გატანა გურჯაანის მიკროზონიდან გადასამუშავებლად და ღვინის გატანა კახეთის მევენახეობის ზონიდან ჩამოსასხმელად, დასაშვებია მხოლოდ მკაცრ ი აღრიცხვისა და კონტროლის პირობებში.

„გურჯაანი“ მზადდება მხოლოდ თვითნადენი ტკბილის სრული დადუღებით.

ღვინის წარმოებისას დასაშვებია მხოლოდ იმ ოპერაციების, მასალებისა და ნივთიერე ბების გამოყენება, რომლებიც ნებადართულია საქართველოს კანონმდებლობით.

ღვინო „გურჯაანის“ სამომხმარებლო ბაზარზე გატანა სარეალიზაციოდ დასაშვებია მ ხო- ლოდ სამომხმარებლო ტარაში დაფასოებული სახით.

10. კავშირი ღვინის
განსაკუთრებულ ხარისხს, რეპუტაციასა და გეოგრაფიულ ადგილს შორის

კლიმატი. მიკროზონაში ამინდის ფორმირებას განაპირობებს სუბტროპიკულ და ზომ იერ

განედებში განვითარებული დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან გადმონაცვლებუ ლი ატმოსფერული პროცესები. აქ კლიმატი ზომიერად ნოტიოა, ცხელი ზაფხულითა და ზომიერად ცივი ზამთრით. მზის ნათების წლიური ხანგრძლივობა 2150-
2200 საათის, ხოლო სავეგეტაციო პერიოდში 1550-1600 საათის საზღვრებში იცვლება.

მიკროზონაში მზის პირდაპირი რადიაციის წლიური ჯამი ჰორიზონტალურ ზედაპი რზე 71 კკალ/სმ2 უდრის. გაბნეული რადიაცია წლიურად 49 კკალ/სმ2, ხოლო სავეგეტ აციო პერიოდში 35 კკალ/სმ2-
ს უდრის. ჯამური რადიაციის წლიური მნიშვნელობა 120 კკალ/სმ2- ია, ხოლო თბილ პერიოდში 90 კკალ/სმ2 უდრის.

მიკროზონაში ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა საკმაოდ მაღალია და 12,40C უდრის. ყველაზე თბილი თვეებია ივლისი და აგვისტო, რომელთა საშუალო ტემპერა ტურა თანაბარია და 23,600C-ის ტოლია, ყველაზე ცივი თვის (იანვარი) კი +0,900C-ია.

მიკროზონის უმეტეს ნაწილში ჰაერის ტემპერატურის 100C-
ზე ზევით მდგრადი გადასვლა აპრილის I დეკადაში (5.IV) და 100C-
ზე ქვევით ნოემბრის პირველ რიცხვებში (3.XI) ეცემა. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძ ლივობა 211 დღეს უდრის. ამ პერიოდში გროვდება 39300C- მდე აქტიურ ტემპერატუ რათა ჯამი.

გურჯაანის მიკროზონაში მოწმენდილ დღეთა (0–
2 ბალი) წლიური რიცხვი, საერთო და ქვედა ღრუბლიანობის შესაბამისად 51 და 132-
ს უდრის. სავეგეტაციო პერიოდში ეს მაჩვენებელი, აღნიშული ღრუბლიანობის შესაბა მისად 36 და 79 დღეს უტოლდება.

ღრუბლიანი დღეების წლიური რაოდენობა (8-
10 ბალი) საერთო და ქვედა ღრუბლიანობის შესაბამისად 113 და 59-
ს, სავეგეტაციო პერიოდში კი 54 და 26 შეადგენს.

მიკროზონაში შემოდგომის პირველი წაყინვები ნოემბრის მესამე დეკადაში (25.XI-
დან) იწყება. ბოლო წაყინვები საშუალოდ 24.III-დან წყდება.

მიკროზონაში ატმოსფერული ნალექების წლიური ჯამი 804 მმ, სავეგეტაციო პერიოდ ში 578 მმ მოდის. წლიური ნალექებიდან მაქსიმუმი (124 მმ) მაისში, ხოლო მინიმუმი (32 მმ) იანვარში აღინიშნება.

ნალექები თოვლის სახით ჩნდება დეკემბრის ბოლო რიცხვებში, რომელიც მარტის შუ ა რიცხვებამდე ქრება. ამ პერიოდში 6-
7 სმ საშუალო დეკადური სიმაღლის თოვლის საბურველი 25 დღის განმავლობაში დე ვს.

ჰაერის შეფარდებითი სინოტივის მნიშვნელობა საშუალოდ 72% უდრის. ჰაერი ტენი თ ყველაზე მეტად იჟღინთება (80%) ნოემბერში, ყველაზე ნაკლებად (64%) კი აგვისტოში.

სეტყვიანი დღეების საშუალო წლიური მნიშვნელობა 1,7-
ს უდრის. წლის განმავლობაში ყველაზე სეტყვიანი მაისი და ივნისია (0,6–0,4).

ალუვიურ - კარბონატული ნიადაგის სიღრმის ტემპერატურული იზოპლეტების ანა
ლი- ზიდან გამომდინარე, 5-50 სმ სიღრმის ფენაში, საშუალო ტემპერატურის 100C-
ზე ზევით მდგრადი გადასვლა აპრილის პირველ დეკადაში ხდება, ხოლო შედარები
თ მეტ სიღრმეზე (50–100 სმ) აპრილის შუა რიცხვებისაკენ იწევს.

ფესვთა სისტემის გააქტიურება მაისის შუა რიცხვებიდან იწყება, როცა ნიადაგის 10-
120 სმ- ის სიღრმის ფენაში ტემპერატურა 150C-
ზე მაღალი ხდება. ივნისის შუა რიცხვებიდან სექტემბრის ბოლომდე 3 თვეზე მეტი ხნ
ის განმავლობაში 5-დან 70 სმ-მდე სიღრმის ფენაში ტემპერატურა 200C-ზე მაღალია.

მიკროზონაში ძირითადად გაბატონებულია სამხრეთ-
დასავლეთის (33%) და დასავლეთის (18%) ქარები. იშვიათად, მათ ენაცვლება აღმოსა
ვლეთის (12%) ქარები. ქარის საშუალო წლიური სიჩქარე 1,7 მ/წმ-
ია, წლის განმავლობაში ყველაზე მეტი სიჩქარე ქარს (1,9 მ/წმ) მარტში, ყველაზე
ნაკლები (1,5 მ/წმ) კი დეკემბერში აქვს.

რქაწითელი კვირტის გაშლას აპრილის შუა რიცხვებიდან, ყვავილობას - მაისის ბოლ
ოს, ყურძნის სიმწიფეს აგვისტოს მეორე ნახევარში იწყებენ. ყურძნის ტექნიკური მომწ
იფება სექტემბრის ბოლო რიცხვებში აღინიშნება.

ნიადაგი. არსებული კვლევის საფუძველზე მიკროზონის ტერიტორიაზე გამოყოფილ
ია ყავისფერი ნიადაგების 4, მდელოს-
ყავისფერი ნიადაგების 4, ალუვიური ნიადაგების 5 და დელუვიური
ნიადაგების 2 სახესხვაობა:

1) მუქი ყავისფერი, დიდი სისქის, თიხიანი;

2) მუქი ყავისფერი, დიდი სისქის, ხირხატიანი, თიხიანი;

3) რენძინო ყავისფერი, დიდი სისქის, თიხიანი;

4) ყავისფერი, დიდი სისქის, ხირხატიანი, თიხნარი;

5) მდელოს ყავისფერი, დიდი სისქის, თიხიანი;

6) მდელოს ყავისფერი, დიდი სისქის, თიხნარი;

7) მდელოს ყავისფერი, დიდი სისქის, სუსტად ხირხატიანი, თიხნარი;

8) მდელოს ყავისფერი, დიდი სისქის, სიღრმით 110-120 სმ-დან გალეებებული 140–150 სმ-დან გრუნტის წყლის დგომით, მძიმე თიხიანი;

9) ალუვიური კარბონატული, დიდი სისქის, თიხიანი;

10) ალუვიური კარბონატული, დიდი სისქის, თიხნარი;

11) ალუვიური კარბონატული, სუსტად ხირხატიანი, თიხნარი;

12) ალუვიური კარბონატული, დიდი სისქის, საშუალოდ ხირხატიანი და ქვიანი თიხნარი;

13) ალუვიური კარბონატული, დიდი სისქის, პერიოდულად ჭარბტენიანი, 120–140 სმ- დან გრუნტის წყლის დგომით, თიხიანი;

14) დელუვიური კარბონატული, დიდი სისქის, თიხნარი;

15) დელუვიური კარბონატული, დიდი სისქის, სუსტად ხირხატიანი და ქვიანი, თიხნარი.

ზემოთ დასახელებული ნიადაგების პირველი სამი სახესხვაობა გავრცელებულია მიკ რო- ზონის ზედა სარტყელში ცივ-გომბორის მთების ჩრდილო-
აღმოსავლეთ კალთებზე და სუსტად დაქანებულ ფერდობებზე, ხოლო მეოთხე სახესხ ვაობის ნიადაგები ძირითადად აღნიშნული კალთების შუა სარტყელში არიან წარმო დგენილი და რელიეფურად სუსტად დახრილ ფერდობებზე და გავაკებებზე არიან გა ნვითარებული.

მე-5, მე-6, მე-7 და მე-
8 სახესხვაობის ნიადაგები კი წარმოდგენილია ზემოთ აღნიშნული კალთების დაბოლ ოებაზე, რომელიც უშუალოდ ემიჯნება ალაზნის ვაკეს და განვი- თარებული არიან გა ვაკებული რელიეფის ფორმებზე. აღნიშნული სახესხვაობის ნიადაგები სუსტადაა და ხრილი ჩრდილო-აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართუ- ლებით.

მე-9 და მე-
13 სახესხვაობის ნიადაგები კი წარმოდგენილია ალაზნის ვაკის ზედა ნაწილში, რომე ლიც ემიჯნება ცივ-გომბორის მთების ჩრდილო-
აღმოსავლეთი კალთების დაბოლოებას ქვემო ალაზნის სარწყავი არხის გაყოლებაზე.

მე-14 და მე-
15 სახესხვაობის ნიადაგები კი, რომლებიც დელუვებს წარმოადგენენ, ძირითადად გვ ხვდებიან ზემოთ აღნიშნული კალთების დაბოლოებაზე, სუსტად დაქა- ნებულ შლეი ფებზე.

პირველი სამი სახესხვაობის ნიადაგები, რომლებიც მიკროზონის ყველაზე მაღალ სარ ტყელშია წარმოდგენილი, ხასიათდებიან ღრმა სისქის პროფილით და პროფილის სის ქე 70-100 სმ-ის ფარგლებში, ხოლო აქტიური ჰუმუსიანი ფენა 45-60 სმ-
ის ფარგლებში იცვლება, მექანიკური შედგენილობით თიხიანებს წარმოადგენენ, აქე დან მე-2 სახესხვაობისათვის დამახასიათებელია ხირხატიანობა.

სამივე სახესხვაობის ნიადაგები ქვედა ფენებში კარბონატების მაღალი შემცველობით ხასიათდებიან, განსაკუთრებით მე-
3 სახესხვაობის ნიადაგი. აღნიშნული ნიადაგები განვი- თარებული არიან ლიოსისებ ურ თიხებზე და კირნარ ნაფენებზე. ზედა აქტიურ ჰუმუსიან ფენაში ხასიათდებიან მ უქი ყავისფერი შეფერილობით, ხოლო ქვევით მოჩალისფრო მოთეთრო შეფერილობი თ.

მე-
4 სახესხვაობის ნიადაგი, რომელიც ძირითადად მიკროზონის შუა სარტყელშია წარმ ოდგენილი, ხასიათდება საშუალო და სუსტი ხირხატიანობით, ღრმა სისქის პროფილ ით (80-120 სმ). აქტიური ჰუმუსიანი ფენა 50–60 სმ-
ის ფარგლებშია. მექანიკური შედგენილობით თიხნარია, შეფერილობით აქტიურ ფენ აში ყავისფერია, ქვევით კი ჯერ ღია ყავისფერში, შემდეგ უფრო ღრმა ფენებში ჩალის ფერში გადადის. კარბონატულია მთელ პროფილში.

მე-5-მე-
8 სახესხვაობის ნიადაგები, რომელიც მიკროზონის დაბლა სარტყელშია წარმო- დგენ ილი, ხასიათდებიან ყავისფერი და მუქი-
ყავისფერი მოშავო შეფერილობით, ღრმა სისქის პროფილით (100–
150 სმ) და ღრმა ჰუმუსიანი ფენით (60–70 სმ). მექანიკური შედგენილობით მე-
5 და მე-8 სახესხვაობა თიხების ჯგუფს მიეკუთვნება, ხოლო მე-6 და მე-
7 სახესხვაობა თიხნარებია, განსხვავებით მე-
7 სახესხვაობა სუსტი ხირხატიანობით ხასიათდება, ხოლო მე-
8 სახესხვაობა შედარებით მეტი ტენიანობით გამოირჩევა და 100–120 სმ-ის სიღრმიდან გალებებულია, ხოლო 140 სმ-ის სიღრმეზე დგას გრუნტის წყალი.

მე-9-მე-
13 სახესხვაობის ნიადაგები ძირითადად ალაზნის ვაკის სამხრეთ დასავლეთ ნაწილშ
ი და მისი შენაკადი მდინარეების გასწვრივ არიან წარმოდგენილი. აღნიშნული ნიადა
გებიც ხასიათდებიან ღრმა სისქის პროფილით (100–
150 სმ), აქტიური ჰუმუსიანი ფენა კი 50–70 სმ-
ის ფარგლებშია. ხასიათდებიან ყავისფერი და რუხი ყავისფერი შეფერილობით. მექან
იკური შედგენილობით მე-9 და მე-13 სახესხვაობები თიხებს, ხოლო მე-10, მე-
12 სახესხვაობები თიხნარების ჯგუფს მიეკუთვნებიან, განსხვავებით მე-
11 სახესხვაობისათვის დამახასიათებელია სუსტად ხირხატიანობა, ხოლო მე-
12 სახესხვაობა საშუალოდ ხირ- ხატიანი და ქვიანია. მე-
13 სახესხვაობის ნიადაგისათვის დამახასიათებელია პერიოდული ჭარბი ტენიანობა
და 120–140 სმ-ის სიღრმიდან გრუნტის წყლის დგომაც.

მე-14 და მე-15 სახესხვაობის ნიადაგები, რომლებიც ძირითადად ცივ-
გომბორის მთების ჩრდილო-
აღმოსავლეთი კალთების დაბოლოებაზე არიან წარმოდგენილი, ხასიათდებიან ღრმა
სისქის პროფილით (70-120 სმ) აქტიური ჰუმუსიანი ფენა კი 40 – 50 სმ-
ის ფარგლებშია.

შეფერილობით ყავისფერია, მექანიკური შედგენილობით თიხნარებს მიეკუთვნებიან,
 მთელ პროფილში კარბონატულია. განსხვავებით მე-
15 სახესხვაობისათვის დამახასიათებელია ხირხატიანობა და სუსტი ქვიანობა, რაც უკ
ეთეს პირობებს ქმნის მაღალხარისხიანი ღვინოების წარმოებისათვის.

პირველი, მე-2, მე-3, მე-5, მე-8, მე-9 და მე-
13 სახესხვაობის ნიადაგები თიხების ჯგუფს, ხოლო დანარჩენი მე-4, მე-6, მე-7, მე-
10, მე-11, მე-12, მე-14, მე-
15 სახესხვაობები თიხნარების ჯგუფს მიეკუთვნება. ჰუმუსის შემცველობა ნიადაგის
საპლანტაჟო ფენაში ძირითადად 1,5– 4,5%-
ის ფარგლებშია, ხოლო პირველი სამი სახესხვაობის ნიადაგებში 3,5–5,5,%-
მდე აღწევს, ქვევით კი მცირდება.

ხსნადი ფოსფორით მეტწილად ღარიბია და ძირითადად 1,5–2,5 მგ-
ის ფარგლებშია 100 გ ნიადაგში. ზოგ შემთხვევაში კი კვალის სახითაა
წარმოდგენილი.

გაცვლითი კალიუმითაც უმეტეს შემთხვევაში ღარიბია და 3,5 – 25,0 მგ-
ის ფარგლებშია, 100 გ ნიადაგში.

კალციუმის კარბონატებს მეტწილად საშუალო რაოდენობით შეიცავს, ხოლო პირველ
ი სამი სახესხვაობის ნიადაგების ქვედა ფენაში საკმაოდ მაღალია და 40–60% აღწევს.

ნიადაგის არეს რეაქცია ძირითადად საშუალო და სუსტი ტუტეა და PH-
ის მაჩვენებელი 7,5– 8,3-ის ფარგლებშია.

ჩატარებული გამოკვლევებიდან გამომდინარე, მიკროზონაში წარმოდგენილი ნიადაგ
ის მახასიათებლები ერთ-
ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია ღვინო „გურჯაანის“ წარმო- ებისათვის.

ადამიანური ფაქტორი. კახეთში, კერძოდ გურჯაანში, მეღვინეობას უხსოვარი დროი
დან მისდევდნენ და საკმაოდ მაღალი ხარისხის ღვინოსაც აყენებდნენ. მათ მაღალ ღი
რსებაზე მიუთითებდნენ ცნობილი მოგზაურები შარდენი, რეკლიუ და გამბა. ხოტბას
 ასხამდა ქართულ ღვინოს ალექსანდრე დიუმაც.

დარგის განვითარებას ხელი შეუწყო 1920-ან წლებში სამეცნიერო-
კვლევითი სამუშაოების დაწყებამ. ამ პერიოდში, საქართველოში იქმნება მძლავრი სა
მეცნიერო ცენტრები, მათ შორის, 1922 წელს გურჯაანის რაიონის სოფ. ურიათუბანში
შეიქმნა კახეთის ზონის მევე- ნახეობა-
მეღვინეობის საცდელი სადგური, 1931 წელს შეიქმნა საკავშირო მევენახეობისა და მე
ღვინეობის სამეცნიერო-
კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც 1932 წელს გადატანილ იქნა კახეთში - თელავში.

ღვინის დაყენების თანამედროვე მეთოდების შემუშავებას, დანერგვასა და სრულყოფ
ას დიდი ამაგი დასდო ლ. ჯორჯაძისა და ვ. პეტრიაშილის ნაშრომებმა, აგრეთვე, პ. მე
ლი- ქიშვილის, ვ. ტაიროვას, ვ. ბურჯანაძის, ტ. პოლიტოვას და სხვათა ანალიტიკურმ
ა სამუშაოებმა.

ცოტა მოგვიანებით, სწავლულთა ამ პლეადას შეუერთდნენ ისეთი გამოჩენილი მეცნი
ერები, როგორიც იყვნენ : კ. მოდებაძე, პ. ავერკინი, ა. ეგოროვი, გ. გოგოლ-
იანოვსკი, მ. გერასიმოვი, ი. თარხნიშვილი და სხვ.

კახეთის ღვინოების მეტნაკლებად სრული დახასიათება ზონალურ ჭრილში მოცემუ
ლია პროფ. კ. მოდებაძის, ლ. ჯორჯაძის, ი, ფეიქრიშვილის, დ. კასაბურის, დ. ნაცვლი
შვილის, გ. ბერიძის და სხვათა ნაშრომებში.

ღვინო „გურჯაანი“ გამოდის 1887 წლიდან, მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალ კონ კურ- სსა და გამოფენაში და 1990 წლამდე მიღებული აქვს 11 მედალი.

გურჯაანის მიკროზონის გეოგრაფიული მდებარეობა, რეგიონისთვის დამახასიათებე ლი კლიმატი: ზომიერად თბილი ზამთარი და ცხელი ზაფხული, ატმოსფერული ნალ ექების ზომიერი რაოდენობა, ნიადაგების მრავალფეროვნება, რქაწითელისა და კახურ ი მწვანეს ჯიშების ამ ზონისთვის დამახასიათებელი განსაკუთრებული მახასიათებლ ები და მევენა- ხეობა-
მეღვინეობის ადგილობრივი, მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია განაპირობებს ღვინო

„გურჯაანის“ განუმეორებელ, მხოლოდ ამ ღვინისათვის დამახასიათებელ ორ- განოლ ეპტიკურ თვისებებს.

11. ეტიკეტირების განსაკუთრებული მოთხოვნები

დასახელება „გურჯაანი“ და აღნიშვნა „დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვ ინო“ ეტიკეტზე, შეფუთვაზე, ასევე ღვინის თანმხლებ დოკუმენტებში და სარეკლამო მასალებში უცხო ენებზე დაიტანება შემდეგნაირად:

ლათინური შრიფტით – **GURJAANI** Protected Designation of Origin ან/და PDO

რუსული შრიფტით – **ГУРДЖААНИ** Защищённое наименование места происхождения

12. აღრიცხვა და შეტყობინება

„გურჯაანის“ წარმოების და შენახვის ტექნოლოგიური პროცესების აღრიცხვა და შეტყ ო- ბინება ხორციელდება საქართველოს
კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

13. ძირითადი საკონტროლო წერტილები

დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო „გურჯაანის“ წარმოების პროცესის გაკონტროლების დროს მწარმოებელმა სსიპ – ღვინის ეროვნულ სააგენტოს უნდა და უდასტუროს შემდეგი პარამეტრების შესაბამისობა:

ძირითადი საკონტროლო პუნქტები	შეფასების მეთოდები

ვენახის ადგილმდებარეობა	საკადასტრო რუკა, შემოწმება ადგილზე
ფართობი	ვენახის აღრიცხვის ჟურნალი, კადასტრი
ვაზის ჯიში	ვენახის აღრიცხვის ჟურნალი, შემოწმება ადგილზე
კულტივირების მეთოდები	აგროტექნიკურ ღონისძიებათა რეგისტრაციის ჟურნალი, წამლობის ჟურნალი. შემოწმება ადგილზე
მოსავლის აღება და ტრანსპორტირება	რთველის ჟურნალი
ყურძნის საჰექტრო მოსავალი	რთველის ჟურნალი
ყურძნის მთლიანი მოსავალი	რთველის ჟურნალი
ყურძნის გადამუშავება და ღვინის დამზადება	ყურძნის მიღების ჟურნალი, ყურძნის გადა- მუშავების ჟურნალი, პროდუქციის ბრუნვის აღრიცხვის ჟურნალი, ლაბორატორიული ანა- ლიზების ჟურნალები, შეტყობინებები, შემოწ-

	მება ადგილზე
ღვინის ჩამოსხმის, შეფუთვის და შ ენახვის ადგილი და პირობები	ჩამოსხმის ჟურნალი, მზა ნაწარმის საწყობში პრ ოდუქციის მოძრაობის ჟურნალი, ლაბორა- ტორ იული ანალიზების ჟურნალები

ღვინის ფიზიკო-ქიმიური მახასიათებლები ღვინის წარმოების პროცესში, ჩამოსხმამდე და ჩამოსხმის შემდეგ	ლაბორატორიული ანალიზების ჟურნალები
ღვინის ორგანოლეპტიკური მახასიათებლები	სადეგუსტაციო კომისიის ოქმები
მიკვლევადობა	ტექნოლოგიური და ლაბორატორიული ჩანა- წერები

14. წარმოების მაკონტროლებელი ორგანო

წარმოების სპეციფიკაციის დაცვასა და ადგილწარმოშობის დასახელების მართებულად გამოყენებაზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სსიპ – ღვინის ეროვნული სააგენტო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.


GURJAANI
MICROZONE
550000
560000
570000
4630000
4620000
4610000
4600000
GURJAANI
გურჯაანი
სანავარდო
ბუშუტი
ვანთა
აკურა
ქახიფარი
ვაჩნაძიანი
კალაური
შაშიანი
ვაზისუბანი
ველისციხე
მუკუზანი
ზეგაანი
ახაშენი
ყიტაანი
ჩუმლაყი
ფერემი
გურჯაანი
ფამდარი
ზიარი
ძირკოკი
ვეჯინი
ფხოველი
კოლაგი
ბაკურციხე
დარჩეთი
ქოდალო
ჯიმითი
შიბლიანი
ზემო
კაჭრეთი
ანაშენდა
ნანიანი
კარდანახი
ანაგა
კაჭრეთი
მელაანი
ვაქირი
ჩალაუბანი
სიღნაღი
ნუკრიანი
ჭოტორი
ზემო
მაღარო
ზემო ბოდბე
ქვემო მაღარო
ქვემო ბოდბე
პირობითი აღნიშვნები
მუნიციპალიტეტის ცენტრი
სოფელი
საერთაშორისო მნიშვნელობის გზა
შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზა
ადგილობრივი მნიშვნელობის გზა
რკინიგზა
მდინარე \ არხი
მდინარე (5-30 მ სიგანის)
მდინარე (300-ზე მეტი სიგანის)
ტბა \ წყალსაცავი
გურჯაანის მიკროზონა
მასშტაბი 1 : 150 000
N
ტეოტიაფიკი